ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა და ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების გაერთიანებული სხდომა.

N 10 ოქმი

26.07.2022

სხდომის ჩატარების ადგილი:

ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი

თვითმმართველობის შენობა

რუსთაველის გამზირი N3

სხდომა უძღვებოდა საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ბატონი მამუკა რიჟამაძე და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე ბატონი ამირან კოპალეიშვილი.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ირაკლი შენგელია, მაგდა კოსტავა, მანანა ჩიხლაძე, დიმიტრი მხეიძე, თეიმურაზ ნადირაძე, მერაბ ჭოხონელიძე, ელეონორა არჩაია, მაია სიმონიძე, ბესიკ ხამაშურიძე, ჯემალ ბიბილეიშვილი, ზაქრო მამასახლისი, ნინო ჩიკვაშვილი, კობა გურული.

მამუკა რიჟამაძე: მინდა წარმოგიდგინოთ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი.

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით.

დღის წესრიგთან დაკავშირებით თუ არ გაქვთ შენიშვნები, გთხოვთ, ვუყაროთ კენჭი დღის წესრიგს წარმოდგენილი რედაქციით.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხს, დეპუტატებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხს წარმოგვიდგენს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საქმის წარმოების მეორე კატეგორიის სპეციალისტი, ქალბატონი ნანა შაშიაშვილი.

ნანა შაშიაშვილი: მოგესალმებით, მე ვარ ქალაქ უთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საქმის წარმოების მეორე კატეგორიის სპეციალისტი, ვინაიდან ბატონი ირაკლი ქარქაშაძე შვებულებაში ბრძანდება, მე წარმოგიდგენთ დადგენილების პროექტს, რომელიც შეეხება უსახლკარო პირების რეგისტრაციას და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესში ვცლილებების შეტანას, როგორც თქვენთვის ცნობილია 2017 წლის 22 თებერვლის N 160-ე დადგენილებაში შევიდა ცვლილება და თქვენს ყურადღებას გავამახვილებ იმ ცვლილებებზე რომელიც ამ ეტაპისთვის არის შესული. ეს ეხება წესებს, ადამიანები რომლებიც ადრე რეგისტრირებულები იყვნენ ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ეხლა შეიცვალა წესი და მიეთითა, რომ ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 2 წელს. ოჯახის განაცხადი არ მიიღება, თუ რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში და მისი სარეიტინგო ქულა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით 130 000-ია ან მეტია. ასევე თქვენს ყურადღებას გავამახვილებ რეგისტრაციასთან დაკავშირებით. მას შემდეგ რაც პირი დაინტერესდება ჩვენი საცხოვრისით, კომისიას მიმართავს წერილობით- განცხადებით საცხოვრისთან დაკავშირებით და ის ვალდებულია გაიაროს რეგისტრაცია, თითოეულ განცხადებას ინდივიდუალურად განიხილავს კომისია. სხდომის საჯაროობასთან დაკავშირებით წინა დადგენილებაში მითითებული არ იყო, ეხლა მივუთითეთ რომ სხდომა შეიძლება იყოს საჯარო, ღია ან დახურული. ის დამოკიდებულია ბენეფიციარის მოთხოვნის საფუძველზე. შიძლება სხდომა იყოს დახურული არ გავასაჯაროოთ პერსონალური ინფორმაცია და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ამ უფლებას ბენეფიციარს არ დავუკარგავთ, ეს აღნიშნულია დადგენილების პროექტში. რაც შეეხება შეფასების კრიტერიუმს, არსებითი ცვლილება არ მომხდარა, შეფასების ქულები იგივე დარჩა, რაც მითითებული იყო ძველ დადგენილებაში. პრაქტიკამ აჩვენა, რომ ის შეფასების ქულება გამართლებულია, კომისიას ეხმარება შემდგომში საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაში, უბრალოდ გავამახვილებ თქვენს ყურადღებას ერთ გარემოებაზე-დადგენილების მე-4 მუხლს დაემატა ,,ე''ქვეპუნქტი, რომელიც უფრო გაამარტივებს შეფასების პროცედურას, ცალკე გამოიყო მარტოხელა მშობლის მქონე, ობოლი ან მარჩენალ დაკარგილი პირები. როდესაც ბენეფიციარი გააკეთებს განცხადებას წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას. მარტოხელა სტატუსის მქონე მშობელს ენიჭება 3 ქულა. მიღებული ქულების რაოდენობა ჯამდება და შესაბამისად ხდება მისთვის საბოლოო ქულის მინიჭება.

მამუკა რიჟამაძე: ასაკი თუ არის განსაზღვრული?

ნანა შაშიაშვილი: არა, ასაკი არ გვაქვს განსაზღვრული, რადგან საქართველოს კანონში მარჩენალ დაკარგული არის ის ოჯახის ის წევრი, რომლის შემოსავალზეც დამოკიდებული იყო ოჯახი. არც კანონში არ არის ასაკი გამიჯნული.

ირაკლი შენგელია: დიდი მოთხოვნაა სოციალურ საცხოვრისზე, მაინტერესებს თუ მოქალაქეს აქვს 130 000 ქულამდე და თან აქვს სხვა სტატუსიც, მაგალითად არის შშმ პირი, ან ოჯახში არასრულწლოვანი ჰყავს კომისია ითვალისწინებს თუ არა ესეთ შემთხვევას? და ვფიქრობ კარგი იქნება თუ კომისიის სხდომები არ იქნაბა საჯარო, რომ დავიცვათ ყველა მოქალაქის უფლებას, ან რაღაც ფორმით წესი შევიმუშაოთ რომელიც დაიცავს იმ ბენეფიციარს რომელსაც არ უნდა სახელის და გვარის გამჟღავნება, ეს დაარღვევს დაჯაროობის პრინციპს.

თეიმურაზ ნადირაძე: მოქალაქეს თუ აქვს 13 000 ქულაზე მეტი მისი განცხადება რეგისტრაციას ვერ გაივლის? მოქალაქემ სად უნდა დაწეროს განცხადება და სად უნდა წარადგინოს საბუთები? თუ იქნება ისეთი ადამიანი ვინც დაეხმარება ბენეფიციარს საბუთების შეგროვებაში?

ნანა შაშიაშვილი: თუ მოქალაქეს ექნება 130 000 ქულა და მეტი, მაშინ მის საბუთებს არ ჩაიბარებენ, და თუ დამტკიცდა ეს პროექტი მერიას ექნება აპარატი, რომელიც სრულად მოახდენს ბენეფიციარის ინფორმირებას, განცხადებების მიღებაც მოხდება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში.

თეიმურაზ ნადირაძე: დაახლოებით როდის დაიწყება განცხადებების მიღება?

ნანა შაშიაშვილი: ესე კონკრეტული თარიღი განსაზღვრული არ არის, თუ დამტკიცდა ეს პროექტი მირის წარმომადგენლები აქტიურად ეწევიან საინფორმაციო შეხვედრებს და დამტკიცებიდან მალევა დავიწყებთ საბუთების მიღებას.

თეიმურაზ ნადირაძე: მადლობა.

ნანა შაშიაშვილი: ბატონ ირაკლისაც ვუპასუხებ ჩემი კომპეტენციის ფარგლებში, ამ პროექტში მითითებულია, რომ ქულასთან ერთად პრიორიტეტი ენიჭება ოჯახს რომელთაც ჰყავთ შშმ პირი, თუ ოჯახს აქვს 130 000 ქულა მას მიენიჭება 3 ქულა, მაგრამ თუ მას ამასთან ერთად აქვს შშმ პირის სტატუსი კიდევ დაემატება 3 ქულა და გაუხდება 6.

ამირან კოპელეიშვილი: ვთქვათ, რამდენიმე ოჯახი არის მომლოდინე, პირობითად 40, ყველა თუ აკმაყოფილებს მოთხოვნას, რომ მოხვდნენ საცხოვრისში და კიდევ დაემატა 10 განცხადება და ამ 10-დან 5 აკმაყოფილებს საცხოვრისის მოთხოვნას, ამ შემთხვევაში რიგითობას ენიჭება უპირატესობა?

ნანა შაშიაშვილი: დიახ, რიგითობას, ჩვენ გვაქვს 2018 წლიდან დღემდე მიღებული განცხადებები ბაზაში, 475 განცხადება, თითოეულ მათგანს ჩვენ ისევ სათითაოდ განვიხილავთ და შევისწავლით ხომ არ გაუმჯობესდა მათი სოცალური პირობები.

ამირან კოპელეიშვილი: რამდენი ხნით გადაეცემა ფართი?

ნანა შაშიაშვილი: 2 წლით გადაეცემა ფართი, 2 წლის მერე გადამოწმდება, ხომ არ შეიცვალა ფინსური მდგომარეობა. ასმათან გადამოწმდება მონიტორინგის ჯგუფის მიერ, არაკეთილსინდისიერ მოქალაქეებს შეიძლება შეუწყდეთ ხელშეკრულება.

ამირან კოპელეიშვილი: როგორც ვიცი პირველი რიგის ნათესავს არ უნდა ჰქონდეს საცხოვრებელი, როცა შევუშვებთ თუ არ აქვს საცხოვრებელი და მერე შეიძენს ამ დროს რა ხდება?

ნანა შაშიაშვილი: ახლად გამოვლენილი გარემოებების გამოვლენისას მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის საფუძველზე მოხდება მათი გამოსახლება.

თეიმურაზ ნადირაძე: ნიკიას საცხოვრისში მცხოვრებ მოქალაქეს თუ აქვს უფლება გამოთქვა სუსრვილი, რომ დაკმაყოფილდეს ახალი საცხოვრისით?

ნანა შაშიაშვილი: ხელშეკრულება მიმდინარეა, მას აქვს გაფორმებული ხელშეკრულება მერიათან, უკვე დაკმაყოფილებულია საცხოვრისით და კანონი ითვალისწინებს, რომ ბოლო რამდენიმე წელი არ უნდა ჰქონდეს მოქალაქეს საცხოვრებელი ფართი. შესაბამისად ეგეთ განცხადებას არ განვიხილავთ.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ სხდომა დაასრულა.

ჯანდავცისა და სოციალურ საკითხთა

კომისიის თავმჯდომარე

მამუკა რიჟამაძე

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო

მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე

ამირან კოპალეიშვილი